

შპს ალფა ტრეიდი

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები	7
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	11
6. სავაჭრო მოთხოვნები	11
7. გადახდილი ავანსები	11
8. მარაგები	12
9. სხვა მიმდინარე აქტივები	12
10. სავაჭრო ვალდებულებები.....	12
11. მიღებული ავანსები	13
12. საკუთარი კაპიტალი.....	13
13. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14
15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20 (გადაანგარიშებული)	31-12-19 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	138,878	120,233	400,469
სავაჭრო მოთხოვნები	6	599,548	500,800	392,722
გადახდილი ავანსები	7	2,714,936	1,527,832	1,615,105
მარაგები	8	213	256,035	15
სხვა მიმდინარე აქტივები	9	86,488	181,963	141,681
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,540,063	2,586,863	2,549,992
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		194	249	304
სულ გრძელვადიანი აქტივები		194	249	304
მთლიანი აქტივები		3,540,257	2,587,112	2,550,296
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	10	812,537	484,656	458,385
მიღებული ავანსები	11	1,239,529	1,035,537	1,415,703
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1,312	1,200	1,200
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,053,378	1,521,393	1,875,288
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		370,900	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		370,900	-	-
მთლიანი ვალდებულებები		2,424,278	1,521,393	1,875,288
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	18	18	18	18
გაუნაწილებელი მოგება		1,115,961	1,065,701	674,990
სულ საკუთარი კაპიტალი	12	1,115,979	1,065,719	675,008
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		3,540,257	2,587,112	2,550,296

დირექტორი



კონსტანტინე აფციაური

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20 (გადაანგარიშებული)	31-12-19 (გადაანგარიშებული)
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	138,878	120,233	400,469
სავაჭრო მოთხოვნები	6	599,548	500,800	392,722
გადახდილი ავანსები	7	2,714,936	1,527,832	1,615,105
მარაგები	8	213	256,035	15
სხვა მიმდინარე აქტივები	9	86,488	181,963	141,681
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,540,063	2,586,863	2,549,992
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		194	249	304
სულ გრძელვადიანი აქტივები		194	249	304
მთლიანი აქტივები		3,540,257	2,587,112	2,550,296
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	10	812,537	484,656	458,385
მიღებული ავანსები	11	1,239,529	1,035,537	1,415,703
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1,312	1,200	1,200
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,053,378	1,521,393	1,875,288
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		370,900	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		370,900	-	-
მთლიანი ვალდებულებები		2,424,278	1,521,393	1,875,288
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	18		18	18
გაუნაწილებელი მოგება		1,115,961	1,065,701	674,990
სულ საკუთარი კაპიტალი	12	1,115,979	1,065,719	675,008
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		3,540,257	2,587,112	2,550,296

დირექტორი

კონსტანტინე აფციაური

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2021	2020 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	19,731,687	14,333,599
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13	(19,189,543)	(13,523,829)
საერთო მოგება		542,144	809,770
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(133,845)	(107,880)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(55)	(55)
სხვა ხარჯები		(11,697)	(3,324)
მოგება საკუროსო სხვაობამდე		396,547	698,511
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(51,757)	(7,782)
მოგება დაბეგვრამდე		344,790	690,729
მოგების გადასახადი		(43,058)	(45,014)
წმინდა მოგება		301,732	645,715

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარი		18	674,990	675,008
წმინდა მოგება		-	645,715	645,715
დივიდენდის გატანა	12	-	(255,004)	(255,004)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი		18	1,065,701	1,065,719
წმინდა მოგება		-	301,732	301,732
დივიდენდის გატანა	12	-	(251,472)	(251,472)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი		18	1,115,961	1,115,979

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ალფა ტრეიდი დაფუძნდა 2019 წელს. კომპანიის მისამართია: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ი. აბაშიძის ქ. N22. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405339281

კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები: კონსტანტინე აფციაური (პ/ნ 01024028651) – 50% და დურმიშხანი ნადირაძე (პ/ნ 13001007514) – 50%.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა იმპორტირებული ხორცისა და რძის პროდუქტებით. მათ შორისაა გაყინული ქათმის ხორცი, გაყინული თევზი, გაყინული ღორის ხორცი, სხვადასხვა სახეობის ყველი და კარაქი. კომპანია იმპორტირებულ პროდუქტს ყიდის როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე გააქვს პროდუქცია რეექსპორტზე. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი: კონსტანტინე აფციაური (პ/ნ 01024028651).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

2021 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-20	31-12-19
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	120,233	400,469
სავაჭრო მოთხოვნები	195,150	409,126
გადახდილი ავანსები	1,469,897	1,557,169
მარაგები	256,035	15
სხვა მიმდინარე აქტივები	181,963	141,682
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,223,278	2,508,461
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	249	304
სულ გრძელვადიანი აქტივები	249	304
მთლიანი აქტივები	2,223,527	2,508,765
ვალდებულებები და კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	481,872	459,205
მიღებული ავანსები	662,157	1,374,107
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,200	1,200
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,145,229	1,834,512
მთლიანი ვალდებულებები	1,145,229	1,834,512
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	18	18
გაუნაწილებელი მოგება	1,078,280	674,235
სულ საკუთარი კაპიტალი	1,078,298	674,253
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	2,223,527	2,508,765

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	14,339,736	14,115,494
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(13,523,829)	(13,332,264)
საერთო მოგება	815,907	783,230
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(107,805)	(98,084)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	(55)	(26)
სხვა ხარჯები	(3,324)	-
მოგება საკუროსო სხვაობამდე	704,723	685,120
ზარალი საკუროსო სხვაობიდან	(585)	(7,418)
მოგება დაბეგვრამდე	704,138	677,702
მოგების გადასახადი	(45,014)	(520)
წმინდა მოგება	659,124	677,182

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 7 ივნისი	-	-	-
წმინდა მოგება	-	677,182	677,182
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	18	-	18
დივიდენდის გატანა	-	(2,947)	(2,947)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	18	674,235	674,253
წმინდა მოგება	-	659,124	659,124
დივიდენდის გატანა	-	(255,079)	(255,079)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	18	1,078,280	1,078,298

3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	6

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

4.4 მარაგები.

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის

სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი. კომპანიას არ გააჩნია წარმოება. იგი ახდენს მზა პროდუქციის შეძენასა და შემდგომ არსებულ მდგომარეობაში გადაყიდვას. შესაბამისად კომპანიის მარაგები შედგება მზა საქონელისგან.

4.5 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ტრანსპორტირების, საკონსულტაციო, საბანკო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას აქვს ფული სალაროში.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-21	31-12-20
ფული სალაროში	1,175	261
ფული საბანკო ანგარიშებზე	137,703	119,972
სულ	138,878	120,233

6. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება როგორც ადგილობრივი კომპანიების მიმართ, ასევე რეექსპორტის შემთხვევაში, უცხოური კომპანიების მიმართ მოთხოვნებისგან.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-21	31-12-20
მოთხოვნები რეექსპორტზე გატანილი საქონელიდან	183,442	491,909
მოთხოვნები ადგილობრივი კომპანიების მიმართ	416,106	8,891
სულ	599,548	500,800

7. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები ძირითადად შედგება საქონლის იმპორტირებისას მომწოდებლისთვის წინასწარ გადახდილი თანხებისგან.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

გადახდილი ავანსები	31-12-21	31-12-20
საქონლის იმპორტირებისას გადახდილი ავანსები	2,705,364	1,525,236
სხვა	9,572	2,596
სულ	2,714,936	1,527,832

8. მარაგები

გამომდინარე იქიდან რომ კომპანიას არ გააჩნია წარმოება და ახდენს იმპორტირებული საქონლის არსებულ მდგომარეობაში გადაყიდვას, მარაგები შედგება მზა საქონლისგან.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

მარაგები	31-12-21	31-12-20
მზა საქონელი	213	233,879
ტრანსპორტირების ხარჯი	-	17,882
სხვა პირდაპირი ხარჯები	-	4,274
სულ	213	256,035

9. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები ძირითადად შედგება საგადასახადო აქტივებისგან.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სხვა მიმდინარე აქტივები	31-12-21	31-12-20
საგადასახადო აქტივი	84,620	181,129
სხვა	1,868	834
სულ	86,488	181,963

10. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად შედგება საქონლის იმპორტირებისას მომწოდებლისთვის მიმართ წარმოქმნილი ვალდებულებებისგან.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-21	31-12-20
საქონლის იმპორტირებისას წარმოქმნილი ვალდებულებები	810,858	477,618
სხვა	1,679	7,038
სულ	812,537	484,656

11. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები ძირითადად შედგება საქონლის რეალიზაციისას კლიენტი კომპანიების მიერ გადახდილი ავანსებისგან.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

მიღებული ავანსები	31-12-21	31-12-20
მიღებული ავანსები ადგილობრივი კომპანიებისგან	1,180,734	667,609
მიღებული ავანსები რეექსპორტზე გატანილი საქონელიდან	58,795	367,928
სულ	1,239,529	1,035,537

12. საკუთარი კაპიტალი

2020 წელს განხორციელდა დივიდენდის გატანა 255,004 ლარის ოდენობით, ხოლო 2021 წელს განხორციელდა დივიდენდის გატანა 251,472 ლარის ოდენობით.

13. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ხორცისა და რძის პროდუქტების რეალიზაცია, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე რეექსპორტის გზით.

2021 და 2020 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	31-12-21	31-12-20
შემოსავალი რეალიზაციიდან, საიდანაც	19,731,687	14,333,599
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, საიდანაც:	(19,189,543)	(13,523,829)
საერთო მოგება	542,144	809,770

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ტრანსპორტირების, მიწოდების, სახელფასო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-21	31-12-20
ტრანსპორტირებისა და მიწოდების ხარჯები	91,191	63,062
ხელფასი და სხვა სარგებელი	2,862	12,490
სხვა საერთო ხარჯები	39,792	32,328
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	133,845	107,880

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2020 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 11,862 ლარი, ხოლო 2021 წელს - 0 ლარი.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.